



საქართველოს საგარეო სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

## დადგენილებათა და განვარგულებათა პრეზული

1939 წ. აგვისტო 5

№ 17

თბილისი

ვ 0 6 1 5 6 0

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (პ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

✓ 67. კოლმეურნეობებში სარწყავი წყლის განივებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

✓ 68. 1939 წლის განმეორებითი გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების ორგანიზაციის შესახებ.

69. სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ.

✓ 70. ქ. თბილისში საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

## სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

**67. კოლმეურნობებში სარწყავი წყლის განივებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი იღნიშნავენ, რომ საკოლმეურნეო ნათესებს დიდ ზიანს აყენებს წყლის განივება და დატაცება კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა და ერთპიროვნულ მეურნეთა მიწების მოსარწყავად, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯეროვნად არ იძრებიან წყლის წესიერი გამოყენებისათვის საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობის გასაღილებლად, დაუსჯელად სტოკებენ წყლით სარგებლობის გეგმების უხეშ დარღვევებს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 7 ივნისის პლენურის გადაწყვეტილებით პარტიულ და საბჭოთა ორგანობს სარწყავ რაიონებში წინადადება მიეცათ სასტიკად და საჯარო წყლის განივებისა და დატაცებაში დამნაშავენი, მაგრამ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს მითითება არსებითად უგულებელყოფილია. ამის შედეგად სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში ადგილი აქვს კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა და ერთპიროვნულ მეურნეთა მიწების მოსარწყავად სარწყავი წყლის დატაცების მრავალრიცხოვან ფაქტებს კოლმეურნობათა მიწების მორწყვის საზიანოდ. საჭიროდ სთვლიან რა დაუყოვნებლივ შესწყდეს ასეთი ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაკოლმეურნეო პრაქტიკა, რომელიც იწვევს კოლმეურნეობებში მოსავლის შემცირებას და ხელს უშლის კოლმეურნეობათა შემოსავლიანობისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომ ზრდას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღვენენ:

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქ. კ. პ. (ბ) აქარისა და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტებს, აქარის ასსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ იღმისრულებელ კომიტეტს, საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს და რაიონულ იღმისრულებელ კომიტეტებს:

1. შემოიღონ წყლით სარგებლობის ისეთი წესი, რომლის დროსაც სარწყავი წყალი პირველ რიგში გადავდებული იქნება კოლმეურნეობათა მიწებში და განსაზოგადოებულ ნათესებში და მეორე რიგში კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე და ერთპიროვნულ მეურნეთა ნათესებში.

2. დააწესონ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე წყლის გაშვების ვადები და ნორმები იმ ვარაუდით, რათა მორწყვა დღელამის განმავლობაში სწარმოებლეს და უზრუნველყონ მათი დაცვის სასტიკი კონტროლი.

3. საირიგაციო სისტემების საშმართველოებისა და რაიონულ აღმისაღებულებელ კომიტეტების მიერ წყლით სარგებლობის დაწესებული გეგმის შესაბამისად შეიმუშაონ და თითოეული სოფლისათვის დააწესონ წყლის გაშვების წორმები მოსახლეობისა და პირუტყვის რაოდენობისა და საკარმიდამო ნაკვეთებზე ნარგავთა შემადგენლობის მიხედვით.

4. „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განივებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ საქ. კ. 3. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 34, მუხ. 235) მე-10 პუნქტის შესაბამისად კოლმეურნეობებში განსაზოგადოებული ნათესებისაგან საკარმიდამო მიწების გამიჯვნის დროს, აგრეთვე ოესლბრუნვის მინდვრების დაპროექტებისა და სოფლების დაგეგმვის დროს მხედველობაში მიიღონ, რომ სასურველი და მიზანშეწონილია დასახლებული პუნქტების წყლით სარგებლობის განცალკევება საკოლმეურნეო მინდვრებისაგან განსაკუთრებული წყალსაგდები არხების მოწყობითა და საკარმიდამო ნაკვეთებზე და დასახლებულ პუნქტებში გაშვებული წყლის სპეციალური აღრიცხვით.

5. გააფართოონ არსებული ჰიდროსაგუშაგოების ქსელი და შემომწვლელთა რაოდენობა სარწყავ სისტემებში იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნათესების მოსარწყავად წყლის გაშვების საჭირო კონტროლი.

6. განუმარტონ კოლმეურნებისა და ერთპიროვნულ მეურნეებს, რომ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების მოსარწყავად წყლის დატაცება განხილული იქნება როგორც წყლით სარგებლობის დადგენილი წესის დარღვევა, ხოლო დამნაშავენი მიცემული იქნებიან სამართალში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის  
მოადგ. გ. სტურუა.

საქ. კ. 3. (ბ) ც. კ-ის  
მდივანი კ. ჩარქვიანი.

1939 წ. ივლისის 14. № 1346.  
თბილის.

### სახალხო პომისართა საბჭოს დადგენილებანი

68. 1939 წლის განმეორებითი გამოკვების აბსუზუმის პარკის დამზადების ორგანიზაციის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ექონომიკური საბჭოს 1939 წლის 3 ივლისის № ეს—412 განკარგულების შესაბამისად და ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 15 მარტის დადგენილებისა „აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების 1939 წლის გეგმის შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 9, მუხ. 39) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემცირებულ იქნას 1939 წლის განმეორებითი გამოკვების პარკების ჩაბარების ნორმა ერთ კოლოფ თესლზე 35-დან 30 კილოგრამამდე, რის გამო განმეორებითი გამოკვების პარკის დამზადების წლიური გეგმა განისაზღვროს 360 ტონის რაოდენობით, აქედან ზაფხულის გამოკვების—300 ტონა, ამასთან ეს გეგმა განაწალდეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა.

2. წინადადება მიეცეს საქაბრეშუმტრესტს დაუყოვნებლივ შეუდგეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადებას შეაბრეშუმებთან ზაფხულის გამოკვების პარკის ჩაბარების შესახებ, პარკის ჩაბარების იმ ნორმების საფუძველზე, რომლებიც დაწესებულია ყველა რაიონისათვის ერთ კოლოფ თესლზე, 30 კილოგრამის რაოდენობით.

3. ზაფხულის გამოკვების პარკის მიღება ყველა რაიონში მოხდეს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ჯგუფობრივი სტანდარტის მიხედვით (1932 წლის 15 მარტის „ვესტ—1—5“), ხოლო წულუკიძის, ზუგდიდის და სამტრედის რაიონებში — ხარისხის მიხედვით, სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ 1939 წლის 1 აპრილს № 294 დამტკიცებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

4. დაწესდეს ზაფხულის გამოკვების პარკის შემდეგი ხარისხობრივი დასაშადებელი ფასები 1 კილოგრამზე იმ რაიონებში, რომლებიც ხარისხობრივ მიღებას ანხორციელებენ:

I ხარისხი — 22 გან.

II " — 16 "

III " — 10 გან. 80 კაპ.

დამზ. წუნი — 2 " 50 "

შავი-ჩხარი — 1 " —

იმ შეაბრეშუმებს, რომლებიც პარკს დახარისხებული სახით აბარებენ, დამატებით მიეცეს დახარისხებისათვის 25 კაპ. თითოეულ კილოგრამში (გარდა დამზად. წუნისა და შავი-ჩხარისა).

5. ხარისხობრივი მიღების დროს ჯილდო-შანამატები მიეცეს ნორმალური ხარისხის პარკის (I, II, III ხარისხის) ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ნორმალური ხარისხის პარკის თანაფარდობა ჩაბარების საერთო გეგმის მიმართ გაინისაზღვროს 70 %, რაოდენობით, კონტრაქტაციის ნორმისაგან დამტკიცილებლად.

6. იმ პარკის მიღება, რომელიც რაიონებში ჯგუფობრივი მიღების წესით მზადდება, მოხდეს 1938 წელს მოძქმედ პირობებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა შმართველის მ. ა. ი. შელხვაა.

## გ ე გ მ ა

ზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა  
და დამზადებისა.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	თესლის რეა- ლიზაციის გეგმა კოლო- ფობით	პარკის კონ- ტრაქტაციის და დამზადე- ბის გეგმა ცენ- ტრებობით
თბილის . . . . .	20	6,0
საგარეფოს . . . . .	15	4,5
ბორჩალოს . . . . .	20	6,0
ლიუქსემბურგის . . . . .	10	3,0
კასპის . . . . .	40	12,0
გურჯაანის . . . . .	50	15,0
სიღნალის . . . . .	70	21,0
წითელი-ჭყაროს . . . . .	20	6,0
ლაგოდების . . . . .	300	90,0
თელავის . . . . .	100	30,0
ცვარლის . . . . .	250	75,0
ხესტაფონის . . . . .	300	90,0
თრჯონიგიძის . . . . .	30	9,0
ჭიათურის . . . . .	40	12,0
ჩხარის . . . . .	300	90,0
ჭუთაისის . . . . .	800	240,0
ბაღდადის . . . . .	200	60,0
სამტრედიის . . . . .	700	210,0
წულუკიძის . . . . .	450	135,0
ვანის . . . . .	550	165,0
აბაშის . . . . .	600	180,0
ცხაკიას . . . . .	400	120,0
ფოთის . . . . .	120	36,0
გვეგძორის . . . . .	515	154,5
ზეგდიდის . . . . .	700	210,0
ხობის . . . . .	250	75,0
წალენჯიხის . . . . .	250	75,0
ჩხოროწყუს . . . . .	400	120,0
მახარაძის . . . . .	150	45,0
ლანჩხუთის . . . . .	300	90,0
ჩოხატაურის . . . . .	500	150,0
ამბროლაურის . . . . .	50	15,0
ცაგერის . . . . .	100	30,0
აკარის ასპრ . . . . .	150	45,0
აფხაზეთის ასპრ . . . . .	1250	375,0
სულ საქართველოს სსრ-ში . . . . .	10000	3600,0

69. სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის მდგომარეობის შენახვა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სახალხო-სამეცნიერო აღრიცხვის სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამორჩეულ იქნა პირველადი აღრიცხვის სრულიად არადამაგრაცილებელი მდგომარეობა მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში. სამტრედიის რაიონის ღანირისა და ჩაგანის სასოფლო საბჭოებში, აღიგენის რაიონის აღიგენის და მლაშენის სასოფლო საბჭოებში, აბაშის რაიონის ნაისაკოსა და ახალ აბაშის სასოფლო საბჭოებში და კასპის რაიონის კავთის-ხევისა და კასპის სასოფლო საბჭოებში სრულიად არ აღმოჩნდა კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების აღრიცხვის უზრნალი (ფორმა № 1), ხოლო იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც ეს უზრნალი მოიპოვება, მასში არ არის შეტანილი მიმდინარე წლის საჭირო ცნობები (ლუქსემბურგის, ახალქალაქის, აღიგენის, ასპინძის, ბორჩალოს, ლაგოდების, თელავის, სამტრედიის, წულუკიძის, თიანეთის, კასპის, გორის, აბაშის რაიონები). მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში (ახალქალაქის რაიონის ახალქალაქისა და მარტუნის სასოფლო საბჭოებში, აღიგენის რაიონის ლაშენისა, ვარხანისა და აღიგენის სასოფლო საბჭოებში, ასპინძის რაიონის თამალის და ასპინძის სასოფლო საბჭოებში, ახალციხის რაიონის, აქარისა და აწყურის სასოფლო საბჭოებში, ბორჩალოს რაიონის შაუმიანის, სარგანისა და აშალასერალის სასოფლო საბჭოებში არ აწარმოებენ სისტემატურ ჩაწერას მეურნეობათა ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების საკომლო წიგნებში (ფორმა № 2) და ერთპიროვნული მეურნეობათა საკომლო წიგნებში (ფორმა № 3).

ზოგიერთ სასოფლო საბჭოებში (აღიგენის რაიონის ვარხანის სასოფლო საბჭოში, ახალციხის რაიონის აქარისა და აწყურის სასოფლო საბჭოებში, აგრეთვე ლუქსემბურგის, ასპინძის, ამბროლაურის და სხვ. რაიონების ზოგიერთ სასოფლო საბჭოებში) სრულიად არ აწარმოებენ ღროვებით მცხოვრები მოსახლეობის სიას (ფორმა № 4-ა); სასოფლო საბჭოებში გაერთიანებულ მეურნეობათა სიების შევსება ხდება არა მეურნეობათა ჩამოვლის საშუალებით, არამედ სათანადო ცნობების მექანიკური გადატანით წარსული წლის საკომლო წიგნებიდან ანდა სააღრიცხვო დოკუმენტებიდან.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანაწერებშიც კი მოიპოვება ხარვეზები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ფაქტების აღრიცხვაში (დაბადება, სიკვდილი და სხვ. აბაშის, სამტრედიის, ბორჩალოს რაიონები).

მოელ რიგ რაიონებში (სამტრედიის, ვანის, აბაშის, ახალქალაქის, აღიგენის, ასპინძის, ბორჩალოსი და თიანეთის რაიონებში) სასოფლო-სამეურნეო კამპანიების მსვლელობის ანგარიშგება სწარმოებს არადაწესებული ფორმით, არამედ ქალალდის ნახევებშე, პირველადი გასამართლებელი სამუთების დაურთვად, რაც შეუძლებლად ხდის წარმოდგენილი ცნობების შემოწმებას.

მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში (ბორჩალოს, აბაშის, ასპინძის და გურჯაალებულის რაიონების და სხვა სასოფლო საბჭოებში), შემოლებული წესის პირ-დაპირი დარღვევით, საკომლო წიგნები და სხვა სააღრიცხვო დოკუმენტები არ არის შენახული ფულადი დოკუმენტების და ფასიანი ქაღალდების თანა-ზრად, არამედ ალაგია მაგიდებზე, თაროებზე და დაუხურავ ყუთებში, რის შედეგად აღვილი აქვს მათი დაკარგვისა და მოსამართის შემთხვევებს.

სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის მოწესრიგებისა და არსებულ დარღვევათა გადაჭრით აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომი-სართა საბჭო აღვენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებს მათი პირადი პასუხისმგებლობით ჩაატარონ. 1939 წლის 15 სექტემბრიდან საკომლო წიგნების და სხვ. სააღრიცხვო დოკუმენტების შემოწმება სასოფლო საბჭოებში იმ ანგარიშით, რომ ამ წიგნებში და დოკუ-მენტებში შეტანილ იქნას ყველა საჭირო მაჩვენებელი და მოყვანილ იქნას წეს-რიგში პირველადი აღრიცხვა სასოფლო საბჭოებში.

2. წინადადება მიეცეს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს ჩაატარონ სასოფლო საბჭოთა მდივნების რაიონული თათბირები, რომლებზედაც მოისმი-ნონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიონული ინსპექტორების ინსტრუქტიული მოხსენებები და განიხილონ ღონისძიებანი სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის მოსაწესრიგებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამშარ-ოველოს და მის ორგანოებს აღგილებზე გააძლიერონ ინსტრუქტაჟი და ყოველ-მხრივი დახმარების აღმოჩენა სასოფლო საბჭოებისათვის პირველადი აღრიც-ხვის დაყენების საქმეში.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამშაროველოს უფროსს — ამ. გელაშვილს მტკიცედ აღვენოს თეალყური იმას, რომ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიონული ინსპექტორები ასრულებდნენ მათთვის „სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის შესახებ“ სსრ კავში-რის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 26 იანვრის დადგენილებით დასრულდა. კრ. 1934 წ. № 6, მუხ. 43) დაკისრებულ მოვალეობას — დაუ-ყოვენებლივ აცნობონ პროექტურის ორგანოებს დამნაშავეთა პასუხისმგებაში მისაცემად დაუდევრობისა და ბოროტმოქმედების ყველა შემჩნეული შემთხვევა, რამაც გამოიწვია აღრიცხვის არევა ან დამახიჯება, და აგრეთვე სააღრიცხვო დოკუმენტების შენახვის წესების დარღვევანი.

5. დაევალოს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს მისტემატიურად, ერთჯერ მაინც კვარტალში, მოისმინონ პრეზიდიუმშე სასოფ-ლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის მდგომარეობის საკითხი და მიიღონ კონკრეტული ღონისძიებანი მის მოსაწესრიგებლად.

၆. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა မდგრადი და სამხრეთ-ოსეთის აეტონომიური ოლქის ცენტრალურ იღმასრულებელ კომიტეტს განიხილონ სასოფლო საბჭოებში პირველადი იღრიცხვის მდგრადი და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი ამ საქმის წესრიგში მოსაყვანად.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აფალებს ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარებელ და უყოვნებლივ ბოლო მოულონ სასოფლო საბჭოებში პირველადი იღრიცხვის დაყენების საქმისაღმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. ივლისის 11. № 1320.

თბილისი.

70. ქ. თბილისში ხაკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

აღნიშნავ რა ქ. თბილისის ხაკოლმეურნეო ბაზრებზე ვაჭრობის სრულიად არადამაქმაყოფილებელ ორგანიზაციის და იმას, რომ ბაზრებზე არსებობენ სარეწაო კომპერაციის, ინვალიდთა კომპერაციის, არტელების, არაკომერიკორებულ შინამრეწველთა დიდადი სავაჭრო და საწარმოო წერტები, რომლებიც უკონტროლოდ მუშაობენ და არსებითად სპეციალიაციას ეწევიან, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის ხაკოლმეურნეო ბაზრებზე წესრიგის დამყარების ღონისძიებანი და წინადაღება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს თბილისის საქალაქო სავაჭრო განყოფილებასთან ერთად უზრუნველჰყოს აღნიშნულ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელება და არაუგვიანეს 1939 წლის 1 სექტემბრისა მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამ ღონისძიებათა შესრულების შედეგები.

2. დაევალოს თბილისის საქალაქო სავაჭრო განყოფილების საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს ხაკოლმეურნეო ბაზრებზე განთავისუფლებული დარაბები, რომლებიც არტელებსა და ერთეულ შინამრეწველებს ეჭირათ, გამოიყენოს საკოლმეურნეო ვაჭრობის გასაფაროვებლად, ამასთან უზრუნველჲყოს III და IV კვარტალებში კოლმეურნეობათა სტაციონალური სავაჭრო ქსელის დამატებითი მოწყობა საკოლმეურნეო ბაზრებზე ხორცით, რძის პროდუქტებითა და ხილბოსტნეულით ვაჭრობისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ქ. თბილისის საქალაქო სავაჭრო განყოფილებასთან ერთად ერთი დეკადის ვადაში:

(ა) მისცეს დავალებანი სავაჭრო ორგანიზაციებს შემხვედრი ვაჭრობისათვის საკოლმეურნეო ბაზრებზე უკველი ცალკე სავაჭრო წერტის ხაზით, ამასთა

უნრუნველჰყოს წერტების მთლიანად დატეირთვა სათანადო ასორტიმენტების საქონლით კოლმეურნეთა მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად;

ბ) შეიმუშაოს და შემოილოს შინაგანი განაწესები საკოლმეურეო ბაზრებზე;

გ) გადასინჯოს საქალაქო საგაჭრო განყოფილების საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს, აგრეთვე თითოეული ბაზრის ღირუქციის აპარატის სტრუქტურა და შტატები იმისათვის, რომ უნრუნველყოფილ იქნას ზუსტი მუშაობა და შემცირდეს აღმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ქ. თბილისის რაიონულ ორგანიზაციებთან ერთად ორი დეკადის ვადაში გადასინჯოს საკოლმეურნეო ბაზრების აპარატის მუშაკთა მთელი შემაგდენლობა და დაკომპლექტოს იგი საიმედო, შემოწმებული და საქმიანი კადრებით.

5. რესპუბლიკის პროკურორმა ამბ. ტალახაძემ და საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარმა ამბ. ჩხეტიანმა უნრუნველჲყონ სპეცულიანტთა მიმართ აღძრული ყველა საქმის განხილვა გადაცემის დღიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადისა, ამასთან საქმეების განხილვის დროს არ დაუშვან არავითარი ლმობიერება და დაპნაშავეთა მიმართ გამოიყენონ უსასტიკესი ზომები, თანახმად კანონისა.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გადასინჯოს ერთეულ შინამრეწველთა საგადასახადო დაბეგვრა და 1939 წ. 15 აგვისტოდან შემოიღოს დაბეგვრის ახალი ნორმები.

7. იმის გამო, რომ შეუწყნარებელია ისეთი პრაქტიკა, როდესაც ზოგიერთი კოლმეურნეობა თავის წევრად ღებულობს ქ. თბილისის მუდმივ მცხოვრებთ, რომლებსაც კოლმეურნეობაში შესვლამდე არავითარი კავშირი არ ჰქონიათ კოლმეურნეობებთან, და კოლმეურნეობის წევრად მხოლოდ იმისთვის შედიან, რომ ვაჭრობის უფლება მოიპოვონ, წინადადება მიეცეს თბილისის საბჭოს საგაჭრო განყოფილებას ერთი დეკადის ვადაში ჩაატაროს ქალაქის ყველა სტაციონარული საკოლმეურნეო წერტის შემოწმება და დაუყოვნებლივ მოხსნას საკოლმეურნეო წერტებში მუშაობიდან კოლმეურნეობის არაწევრები და მიტანილი ცრუ-კოლმეურნეები.

8. გადამყიდველებთან, ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადაყიდვასთან და ფასების უგანონლოდ გადიდებასთან ბრძოლის მიზნით, წინადადება მიეცეს საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს და საკოლმეურნეო ბაზრების ღირებულების სისტემატურად და ყოველდღიურად შეამოწმონ საკოლმეურნეო წერტები იმისათვის, რათა გამოარკვიონ, ეკუთვნის თუ არა პროდუქტია სათანადო კოლმეურნეობას და ასამდენად სწორია დაწესებული ფასები.

როდესაც არ აღმოჩნდება ფაქტურები, რომლებიც ადასტურებენ, რომ პროდუქტია უშუალოდ კოლმეურნეობისაგან არის მიღებული, აგრეთვე თუ არ იქნა კოლმეურნეობის გამგეობის სანქცია გასასყიდ ფასებზე, აღნიშნული წერტების გამყიდველები დაუყოვნებლივ მოხსნას სამუშაოდან და მათი საქმეები გადაეცეს პროკურატურას სპეცულიაციისათვის პასუხისმგებაში მისაცემად.

მცხ. 70

— 288 —

9. დაევალოს თბილისის საქალაქო სავაჭრო განყოფილების საქოლმეურნეო ნეო ბაზრების სამმართველოს და ბაზრების დირექტორებს არ დაუშვან სპეციალისტი ყისძები საქოლმეურნეო პროდუქციის გასასყიდად, არამედ გამოიყენონ ისინი მხოლოდ ხორცის დასაჭრელად და აუკრძალონ მათ ყოველგვარი ანგარიშსწორება მყიდველებთან.

10. დაევალოს ქ. თბილისის რაისაბჭოების თავმჯდომარეებს ყოველ ხუთ დღეში ერთხელ პირადად შეამოწმონ ვაჭრობის მდგომარეობა საქოლმეურნეო ბაზრებზე.

11. დაევალოს სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებსაც საქოლმეურნეო ბაზრებზე სავაჭრო წერტები აქვთ, ერთი თვის ვადაში შეაკეთონ მათთვის საქოლმეურნეო ბაზრებზე გამოყოფილი სავაჭრო წერტები მიმდინარე რემონტის იმ სახსრების ანგარიშში, რომლებიც გათვალისწინებულია ბრუნვის ხარჯებით.

12. დაევალოს სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმს (ამხ. შავგულიძეს), საქეონპინკაეშის (ამხ. მაჩაბელს) მოაწყონ ბაზრებზე სანიმუშო მსხვილი სარემონტო სახელოსნოები, რომლებიც გათვალისწინებულია დისლოკაციით, და სასტიკი კონტროლი გაუწიონ მათს მუშაობას, ამასთან გამოჰყონ საწარმოო საამქროები შეკეთების მიღებისა და შემკვეთლებთან ანგარიშსწორებისათვის, ყველა საწარმოო სახელოსნო მოიყვანონ კულტურულ მდგომარეობაში და შეაკეთონ ისინი არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა.

13. დაევალოს მუშარ-გლეხური მილიციის მთავარ სამმართველოს გააძლიეროს სპეციალისტისთან ბრძოლა ბაზრებზე, ამასთან მოაწყოს ოპერატიული სამილიციო პუნქტები სტალინის რაიონის დახურულ ბაზარსა და საბურთალოს სამილიციო პუნქტები სტალინის დახურულ ბაზარსა და საბურთალოს სამილიციო პუნქტებში იყოღიოს მუდმივი სამილიციო საგუშაბაზარზე, ხოლო დანარჩენ პუნქტებში იყოღიოს მუდმივი სამილიციო საგუშაბაზარზე, ერთი ინსპექტორისა და ერთი მილიციელის შემადგენლობით.

— საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. ივლისის 29. № 1424.

თბილისი.

РУСТ 33,35

Б,КЕ ИМЭЛ

1 1 12 СБ ГР - З

---

ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО: САЖАРТОВЕЛОНС ССР САХАЛЕН ГОМОСАРТА САДЖА

---

Чиндаа ჩაბардыес პიрველ რигში  
ხელწერილის ქვეშ

М О С А М А Р Т О С А Т 3 0 С

ФАС 40 კამ.

---

ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО: „ГРАМДІНІСЛІС“, პОЛІГРАФІЧНЫЙ ГРОДНЕНСКІЙ, 1998 № 28.

МТАҮЛІНГІС 1998 № 28

ШЕКІДА № 988

ОРИГІН